საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 455

2011 წ. "09" 12

ქ. თბილისი

შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს" დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს" მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 9 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს" დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციის მინიჭებაზე.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 9 დეკემბრის №14 სხდომის ოქმის 38-ე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კიკალეიშვილი

მდივანი
დიმიტრი ალავიძე